

შპს „კოკა კოლა ხაშური“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში 05/11/2013 წ. ს/ნ 405017020 კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზ., VI კვ., კორ. 27, ბ. 4, კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა უალკოჰოლო სასმელებით და სხვადასხვა კვების პროდუქტებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია

სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული

მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

კომპანია იყენებს ცვეთის გამომუშავებულ ერთეულთა მეთოდს და ძირითად საშუალებებს არიცხავს ცეთას დაჩქარებული მეთოდით მათი შეძენის წელს. ცვეთის თანხა აკლდება აქტივის პირვანდელ ღირებულებას.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურაქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის სწორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თ უმასზე ნაკლებია, მინიმალურისა იჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათიგ გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას გააჩნია მოკლევადიანი (ერთ წლამდე პერიოდის) მოთხოვნები, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს კომპანიას;

სავალუტო მოთხოვნები აღირიცხება უცხოურ/ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში წარმოშობილი მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსით, ლარის ექვივალენტში, და შედეგი აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშზე როდესაც წარმოიშობა ასეთი სხვაობა;

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები შედგება კომპანიის საბანკო ანგარიშებზე, ასევე სალაროში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	2437	64589
ფული საბანკო ანგარიშებზე	35892	4613
სულ ჯამი	38329	69202

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2021 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
ცვეთადამორტიზაცია	-18147	-15295
სულ	-18,147	-15,295

საბალანსო უწყისი

ვალუტა - GEL

შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფულადი სახსრები	38,329	69,202	134,463
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,577,071	1,057,545	459,816
სასაქონლო მატერიალური მარაგები	493,009	613,929	331,902
წინასწარ გაწეული ხარჯი/გადახდილი გადასახადი	8,746	12,604	15,705
სულ მიმდინარე აქტივები	2,117,155	1,753,280	941,886
ძირითადისაშუალებები	122,090	47,733	205,291
არამატერიალური აქტივები		0	
ბიოლოგიური აქტივები		0	
სულ გრძელვადიანი აქტივები	122,090	47,733	205,291
სულ აქტივები	2,239,245	1,801,013	1,147,177.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	937,294	648,592	729,246
სესხები	410,463	288,500	
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,347,757	937,092	729,246
გრძელვადიანი სესხები	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1,347,757	937,092	729,246
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	863,921	417,931	417,931
მიმდინარე წლის მოგება / ზარალი	27,567	445,990	
სულ კაპიტალი	891,488	863,921	417,931
სულ ვალდებულებები და	2,239,245	1,801,013	1,147,177.00

მოგება ზარალის უწყისი

ვალუტა - GEL

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან		15,555,587	13,135,361
რეალიზებული პროდუქციის, გაწეული მომსახურების თვითღირებულება		-13284310	-11019694
სარეალიზაციო მოგება (ზარალი)		2,271,277	2,115,667
ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები		(2,218,710)	(1,395,177)
შრომის ანაზღაურება		(919,252)	(693,254)
იჯარა		(52,818)	(50,660)
საწვავის ხარჯი		(245,232)	(130,490)
ამორტიზაცია		(18,147)	(15,295)
მარკეტინგული ხარჯი		(596,802)	(151,829)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(386,459)	(353,649)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,218,710)	(1,395,177)
მოგება (ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		52,567	720,490
გაცემული დივიდენდი		-25000	-274500
საკურსო სხვაობა			
არასაოპერაციო ხარჯები			
მოგება (ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან			
საგადასახადო კანონმდებლობით გამოწვეული სხვაობა			
წინა წლის შედეგი		863,921	417,931
მიმდინარე წლის მოგება		27,567	445,990
სულ წლის მოგება		891,488	863,921

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 31 აგვისტოს.